საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1301 2018 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, გრიშაშვილის ქუჩა №51-ში (ნაკ. №11/14) მდებარე 4683.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3, №4, №5 – საერთო ფართით – 2619.6 კვ.მ, №6 – საერთო ფართით – 6.4 კვ.მ, №7 – საერთო ფართით – 14.03 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.04.011.014) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 2 800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცეს შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსს“ (ს/ნ: 406243514).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში, შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში – 300 000 (სამასი ათასი) ლარი;

ა.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში – 800 000 (რვაასი ათასი) ლარი;

ა.გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში – 2 800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარი;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით:

ბ.ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე არანაკლებ 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) სკოლის მოსწავლისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა და ფუნქციონირების დაწყება;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტში“ (ს/ნ: 204521375) რეგისტრირებული სკოლის მოსწავლეების სწავლების უზრუნველყოფა, მათი თანხმობის შემთხვევაში;

ბ.გ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება;

გ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების დაწყებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის განმავლობაში ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საგანმანათლებლო პროფილით ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

3. შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი“ ვალდებულია, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას და რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უნდა უზრუნველყოფდეს მე-2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულებას (მათ შორის, ამ საპრივატიზებო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**